განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს თბილისის თავისუფალი აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი

2021 წლის 17 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

2021 წლის 30 ივლისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) თბილისის თავისუფალი აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204876991
დაწესებულების სახე	კოლეჯი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	I საფეხური, ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 (ECTS) კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული 21.11.2018 N8

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო, პატარაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ჭინჭარაშვილი, საქართველოს რკინიგზა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის (ყოფილი შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 22 ნოემბრის №58 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა აკრედიტაციაზე, რის შემდეგაც ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში 21.11.2018 წლის №89 ოქმის თანახმად (ქართულ ენაზე). აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის ფორმა არის დასწრებული, მისი ხანგრძლივობა კი 4 აკადემიურ წელსა და 8 სემესტრს წარმოადგენს; პროგრამის ECTS კრედიტების მოცულობას შეადგენს 240 ECTS, ხოლო თითოეული სემესტრი შედგება 21 სასწავლო კვირისაგან. აღნიშნულ საგანმანათლებლობა პროგრამას უძღვება ორი პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 30 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაგანაც 23 არის აკადემიური პერსონალი (2 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ პროფესორი და 1 ასისტენტი, 13/23 აკადემიური პერსონალისგან არის აფილირებული თბილისის თავისუფალ აკადემიასთან, შემდეგი შემადგენლობით - 1 აფილირებული პროფესორი, 7 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასისტენტ პროფესორი და 1 აფილირებული ასისტენტი) და 7 მოწვეული პერსონალი. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად შეინიშნება აბიტურიენტთა მომართვიანობის შემცირება პირველი სამი არჩევნის მიხედვით, რასაც დაწესებულების წარმომადგენლები უკავშირებენ

აკრედიტაციის ვერ მიღებას. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მაღალია გარე მობილობით გადმოსულთა რიცხვი. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს ბოლო 5 წლის განმავლობაში მერყეობს 52% (2018 წ) დან 93 %-მდე (2017 წ), ასევე შეინიშნება ვარიაცია კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულთან მაჩვენებელში- 33% (2020 წ) დან 67 %-მდე (2016 წ). კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების (ბოლო 5 წლის განმავლობაში) მაჩვენებელის მიხედვით დგინდება, რომ შეფასებების დიდი წილი მოდის დამაკმაყოფილებელსა და საკმარის კატეგორიებზე, რასაც დაწესებულების წარმომადგენლები ხსნიან სტუდენტთა დროის დეფიციტით, რაც განპირობებულია მათი მაღალი დასაქმების კოეფიციენტით.
2018 წელს განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორის ბრძანებით შექმნილმა პროგრამის განვითარების ჯგუფმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალით, ადმინისტრაციის წარმომადგენლებით, სტუდენტებით, კურსდამთავრებულებითა და დამსაქმებლებით, მოახდინა პროგრამის დეტალური ანალიზი და სრულიად განაახლა საბაკალავრო პროგრამა, მისი სტრუქტურა, კრედიტების გადანაწილება სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, მოარგო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაცის ჩარჩოს მოთხოვნებს, განაახლა სწავლება-სწავლის მეთოდები და სავალდებულო სასწავლო მასალები, გააძლიერა ინგლისური ენის კომპონენტი, დააზუსტა სასწავლო კურსების წინაპირობები, გაზარდა პროგრამაში ჩართული აკადემიური, აფილირებული, მოწვეული და პრაქტიკოსი სპეციალისტების რიცხვი.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში 2021 წლის 17 ივნისს ონლაინ რეჟიმში, zoom პლათფორმის მეშვეობით, განხორციელდა ვიზიტი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აკრედიტაციის ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში. გასაუბრები მიმდინარეობდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად აკადემიის ადმინისტრაციასთან (საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო), თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამის აქტიურ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და აქტიურ თუ პოტენციურ დამსაქმებლებთან. დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ საკმარისი დრო წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები, მიღწეული შედეგები, მტკიცებულებები და არსებული გამოწვევები თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში. ექსპერტები დეტალურად გაეცნენ დაწესებულების მიერ წინასწარ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, თუმცა უფრო მეტი სიცხადისთვის ვიზიტის მსვლელობის დროს გამოითხოვეს დამატებითი ინფორმაცია/მტკიცებულებები.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1-საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ექსპერთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც *,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.* ამ სტანდარტის 1.1. კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია

მოთხოვნებთან", ხოლო სტანდარტის 1.2. კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

სტანდარტი 2-სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ექსპერთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც *,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".* ამ სტანდარტის 2.1., 2.3. და 2.6. კომპონენტები შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ხოლო 2.2., 2.4. და 2.5. კომპონენტები შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

სტანდარტი 3-სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ექსპერთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც *,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".* ამ სტანდარტის 3.1. კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ხოლო 3.2. კომპონენტი არ შეფასდა პროგრამის საფეხურიდან გამომდინარე.

სტანდარტი 4- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც *,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".* ამ სტანდარტის 4.1. და 4.3 კომპონენტები შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ხოლო 4.2. და 4.4. კომპონენტები შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც *,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".* ამ სტანდარტის 5.1 და 5.3. კომპონენტები შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისისობაშია მოთხოვნებთან", ხოლო სტანდარტის 5.2 კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

- რეკომენდაციები

სტანდარტი #1-ის მიმართებაში

- რეკომენდირებულია, გატარდეს ქმედითი აქტივობები პროგრამის განხორციელებაში ჩართული თითოეული პირის ინფორმირებულობის დონის ამაღლების კუთხით შემდეგი მიმართულებებით: პროგრამის სწავლის მიზნების შესაბამისობის დადგენა პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის ინსტრუმენტები, პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის მიზნებისა და შედეგების შეფასების პროცესები და ანალიზის შედეგების გამოყენების მეთოდები პროგრამის და/ან სასწავლო კურსის გაუმჯობესების მიზნით.

სტანდარტი #2-ის მიმართებაში

- პროგრამულ დოკუმენტებში მოხდეს ხარვეზის გამოსწორება, კერძოდ, ძალადაკარგული 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანების ჩანაცვლება და კოლეჯმა კვალიფიკაციის მინიჭება განახორციელოს განახლებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10/04/2019 №69/ნ ბრძანების შესაბამისად.

- საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, საჭიროა გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია, საკონტაქტო საათების ოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები უნდა იყოს ვიდრე 180 საათი, კომპონენტისთვის დათმობილ 500 საათში;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასში მიზნების, ამოცანების და კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილის წარმოდგენას.

რათა მიღწეული იქნას სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება

- უნდა მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდის, შესაბამისი აქტივობების გამიჯვნა, როგორც სილაბუსებში, ასევე პროგრამაში, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად.

სტანდარტი #4-ის მიმართებაში

- აკადემიის მიერ სხვადასხვა ღონისძიებების გატარება ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად, საერთაშორისო აქტივობებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით (მ.შ. დაფინანსების გათვალისწინება ბიუჯეტში);
- უფრო მეტად გამოიკვეთოს პროგრამის ბიუჯეტის ბმა აკადემიის მისიასთან. გამოიყოს მეტი ფინანსური რესურსი ინტერნაციონალიზაციის მიმართულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გასაძლიერებლად, აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში პერსონალის მეტად მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

სტანდარტი #5-ის მიმართებაში

- აუცილებელია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს „პროგრამის/პროგრამების შემუშავების ინსტრუქციაში“ არსებული ჩანაწერები, რომელიც ადგენენ მოთხოვნებს პროგრამისადმი;
- აუცილებელია მოხდეს მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ყველა არსებული მექანიზმის ამოქმედება პროგრამის როგორ შიდა, ისე გარე შეფასების მიზნით;
- ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის, ასევე პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება და შედეგების ანალიზი - უნდა იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესების მომწესრიგებელ რეგულაციებში დადგენილი შეფასებისა და კონტროლის ყველა მექანიზმის (მათ შორის, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა-გამოყენება, პროგრამების შეფასება SWOT ანალიზის მეშვეობით) სრულად გამოყენება. გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგები უნდა იყოს დოკუმენტირებული და გაზიარებული დაინტერესებული მხარეებისათვის;

- პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- რამდენადაც პროგრამა ორიენტირებულია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის, სასურველია პროგრამის მიზნებში ყურადღება გამახვილდეს ინტერნაციონალიზაციის საკითხებზეც;

- სასურველია დაკონკრეტდეს თუ როგორ მოხდება სტუდენტის ავტონომიურობის უნარის გამომუშავების ხელშეწყობა პროგრამის ფარგლებში (რომელი სასწავლო კურსის, სწავლების თუ შეფასების მეთოდითა ან დავალებების მეშვეობით);

- არჩევით სასწავლო კურსებსაც განესაზღვროთ შესაბამისი წინაპირობები სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალის მარტივად დაძლევის მიზნით;

- სასურველია დაინტერესებული მხარეებთან ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საპასუხოდ განხორციელებული აქტივობების /განხორციელებული ცვლილებების სისტემური დოკუმენტირება;

- რამდენადაც საბაკალავრო ნაშრომი პროგრამის საავალდებულო კომპონენტია და ეთმობა 20 კრედიტი, სასურველია მასში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი საველე სამუშაოებისა და პირველადი მონაცემების მოპოვება/ დამუშავების აქტიური ინტეგრირებით. ასევე სასურველია ბიზნესის კვლევების სასწავლო კურსის დამატება საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად;

- სასურველია პროგრამას დაემატოს "მმართველობითი აღრიცხვა" არჩევითი სასწავლო კურსის სახით;

- კარგი იქნება თუ მაღალი კურსების სასწავლო კომპონენტებში, დამხმარე ლიტერატურაში დაამატებენ ინგლისურენოვან ბოლოდროინდელ გამოცემებს, რადგან ქართულად არსებული სახელმძღვანელოები შედარებით მწირია;

- კარგი იქნება თუ სტუდენტს მიეცემა საშუალება წინასწარ შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატზე და საბოლოო დაცვამდე შეამციროს ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის დონე;

- ზოგიერთ კურსში, მაგალითად პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი, მოცემულია შეფასების კრიტერიუმი მაქსიმალური ქულით, თუმცა არ არის დაკონკრეტებული ამ კრიტერიუმის ქულათა რანჟირება, სასურველია ასეთ კურსებში დაკონკრეტდეს ქულათა რანჟირების კრიტერიუმები;

- საგამოცდო ცენტრის მოწყობა, საგამოცდო პროცესის შესაბამის გარემოში წარმართვისა და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით;

- მიზანშწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული, გონივრული პერიოდულობით, ყველა იმ მექანიზმის გამოყენებით, რომელიც დაწესებულებამ თავადვე დაადგინა, მათ შორის გარე შეფასების პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის ნაწილში;

- მიზანშეწონილია გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სასწავლო კურსი საგადასახადო საქმე, რომლიც შეთავაზებულია ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტის პერსპექტივიდან. მასში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი გადასახადის გადახდის დეკლარირების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის კომპეტენციების განვითარებას.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 22 ნოემბრის N158 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა აკრედიტაციაზე და ამჟამად ხორციელდება ავტორიზაციის რეჟიმში.

ექსპერტთა ჯგუფის უკუკავშირი შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ წარმოადგენილ არგუმენტირებულ პოზიციის გაზიარებასთან დაკავშირებით დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებთან მიმართებაში (დაწესებულების წერილი - No734565, 22/07/2021, ბრძანება No481491, 24/05/2021)

ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო და განიხილა შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ წარმოადგენილი არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციისა და დამატებითი განმარტებების მიუხედავად, ექსპერტმა ჯგუფმა არ მიიჩნია მიზანშეწონილად რომელიმე რეკომენდაცია ამოეღო ან გადაეტანა რჩევის სახით, შესაბამისად არ მოახდინა არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება ამ კუთხით. დასკვნის საბოლოო პროექტში აისახა მხოლოდ მცირედი ცვლილებები, კერძოდ, 5.1 და 5.2 კომპონენტებს დაემატა დამატებითი განმარტებები და დაზუსტდა რეკომენდაციების შინაარსი. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ცვლილებები არ შეეხო შეფასების ნაწილის და მთლიანად უცვლელი დარჩა 5.3. კომპონენტი. ასევე ხაზი უნდა გაესვას, რომ ყველა სხვა სტანდარტში შეფასებები, რეკომენდაციები და რჩევები დარჩა უცვლელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ შპს თბილისი თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდ ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებისკენ არის მიმართული აღნიშნული პროგრამა. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები თანხვედრაშია თბილისის თავისუფალი აკადემიის მისიასთან, მორგებულია დასაქმების ბაზრის ცვალებად მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევადობას. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას გააჩნია 3 ძირითადი მიზანი, კერძოდ, ,,ა) განათლების პირველი საფეხურის და შრომის ბაზრის შესაბამისი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე, ბ) სტუდენტების მიერ ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სფეროს შესახებ საბაზო თეორიული ცოდნის დაუფლებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების შემუშავება, და გ) ბიზნესის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარისა და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარების განვითარება". რამდენადაც პროგრამა ორიენტირებულია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის, სასურველია პროგრამის მიზნებში ყურადღება გამახვილდეს ინტერნაციონალიზაციის საკითხებზეც. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის შემუშავებას წინ უძღვოდა პროგრამის საჭიროების ანალიზი. თვითშეფასების ანაგრიშში ასევე ნახსენებია გარე კოლეგიალური შეფასების გამოყენებაც პროგრამის შემუშავების პროცესში ბიზნესის დარგის კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, თუმცა კოლეჯის მიერ მსგავსი გარე შეფასების დასკვნა არ ყოფილა წარმოდგენილი. თბილისის თავისუფალმა აკადემიამ ასევე გაითვალისწინა პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნებიც სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გაუმჯობესების კუთხით, რაც ასევე დაადასტურეს დამსაქმებლებმაც გასაუბრების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ შრომის ბაზრის ანალიზი; ○ აკადემიის მისია - www.freeacademy.edu.ge; ○ აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა; ○ ვებ - გვერდი www.freeacademy.edu.ge. ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის რამდენადაც პროგრამა ორიენტირებულია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის, სასურველია პროგრამის მიზნებში ყურადღება გამახვილდეს ინტერნაციონალიზაციის საკითხებზეც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, რომლის შეძენაც უნდა შეძლოს სტუდენტმა პროგრამის დასრულებისას, თუმცა სასურველია პროგრამის კურიკულუმში, დაკონკრეტდეს თუ როგორ მოხდება სტუდენტის ავტონომიურობის ხელშეწყობა პროგრამის ფარგლებში (რომელი სასწავლო კურსის, რა სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდებითა თუ დავალებების მეშვეობით). აღნიშნული პროგრამის კურიკულუმში (დამტკიცებული შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის სენატის ოქმი N8, თარიღი 23.03.2020 წ) წარმოდგენილია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა (აღწერს რომელი პროგრამის მიზნის მიღწევა არის შესაძლებელი რომელი სწავლის შედეგით), პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (აკონკრეტებს რომელი პროგრამის სწავლის შედეგი მიიღწევა ინდივიდუალური სასწავლო კურსი/ებ-ის მეშვეობით) და პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი (პროგრამის სწავლის შედეგების რა დონეზე/საფეხურზე მიღწევა არის შესაძლებელი ინდივიდუალური სასწავლო კურსი/ებ-ის საშუალებით). შპს თბილისის თავისუფალ აკადემიას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების აღმწერი დოკუმენტის (შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის სენატის დადგენილება N4, 25 თებერვალი 2021, დამტკიცებულია თბილისის თავისუფალი აკადემიის სენატის 2020 წლის 30 მარტის ოქმი N9, დადგენილება N50). აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ზოგად მეთოდოლოგიას, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს და ასევე შეფასების განხორციელების წესებს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს როგორც პროგრამის სწავლის შედეგების თანმიმდევრულობა, ასევე მათი შეფასების გამჭვირვალე პროცესი. მასში ასევე აღწერილია შეფასების პირდაპირი (სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების შესრულება დავალებების საშუალებით) და არაპირდაპირი (სტუდენტების თვითშეფასება, სტუდენტთა შეფასება დამსაქმებლების მიერ, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, დასაქმების და პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, ფოკუს ჯგუფები) მეთოდები. აკადემიაში არსებული რუქებისა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის/წესის მიუხედავად, ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის გარკვეული

ნაწილი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის შესახებ და ვერ ასაბუთებს მათი კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების ბმას საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. რეკომენდირებულია, გატარდეს ქმედითი აქტივობები პროგრამის განხორციელებაში ჩართული თითოეული პირის ინფორმირებულობის დონის ამაღლების კუთხით შემდეგი მიმართულებებით: პროგრამის სწავლის მიზნების შესაბამისობის დადგენა პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის ინსტრუმენტები, პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის მიზნებისა და შედეგების შეფასების პროცესები და ანალიზის შედეგების გამოყენების მეთოდები პროგრამის და/ან სასწავლო კურსის გაუმჯობესების მიზნით. ასევე სასურველია, გაუმჯობესდეს შეფასების შედეგების გამოყენების დოკუმენტირება პროგრამის გაუმჯობესების პროცესებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის კატალოგი - www.freeacademy.edu.ge; ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ შრომის ბაზრის ანალიზი; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის სენატის დადგენილება N4, 25 თებერვალი 2021 წ, დამტკიცებული თბილისის თავისუფალი აკადემიის სენატის 2020 წლის 30 მარტის ოქმი N9, დადგენილება N50) და ხარისხის მართვის მექანიზმები ○ შეფასების წესი; ○ კურიკულუმის რუკა; ○ ვებ - გვერდი - www.freeacademy.edu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: - რეკომენდირებულია, გატარდეს ქმედითი აქტივობები პროგრამის განხორციელებაში ჩართული თითოეული პირის ინფორმირებულობის დონის ამაღლების კუთხით შემდეგი მიმართულებებით: პროგრამის სწავლის მიზნების შესაბამისობის დადგენა პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვის ინსტრუმენტები, პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის მიზნებისა და შედეგების შეფასების პროცესები და ანალიზის შედეგების გამოყენების მეთოდები პროგრამის და/ან სასწავლო კურსის გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, დაკონკრეტდეს თუ როგორ მოხდება სტუდენტის ავტონომიურობის უნარის გამომუშავების ხელშეწყობა პროგრამის ფარგლებში (რომელი სასწავლო კურსის, სწავლებისა თუ შეფასების მეთოდითა ან დავალებების მეშვეობით); ○ სასურველია, გაუმჯობესდეს შეფასების შედეგების გამოიყენების დოკუმენტირება პროგრამის გაუმჯობესების პროცესებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ***<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>*** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიას განსაზღვული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით განთავსებულია როგორც აკადემიის ვებგვერდზე (www.freeacademy.edu.ge), ასევე ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. აკადემიის ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას პროგრამაზე დაშვების წინაპირობის, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სტრუქტურის და დასაქმების სფეროების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი; ○ ვებ - გვერდი www.freeacademy.edu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ *<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>* ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია (ახალი რედაქციით დამტკიცებული თბილისის თავისუფალი აკადემიის სენატის 2020 წლის 24 თებერვლის ოქმი N 4 (დადგენილება N17), რომელიც ეფუძვნება ურთიერთანამშრომლობით პროცესს ყველა იმ დაინტერესებული მხარის ჩართულობით (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, კოლეჯის ადმინისტრაცია), რომელიც არის შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების გარანტი. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და გავითარების მეთოდოლოგია მოიცავს PDCA ციკლის 4 ძირითად ეტაპს, P-Plan-დაგეგმვა, D-do-განხორციელება, C-check-შემოწმება და A-act- რეაგირება. პროგრამის შემუშავება თავისუფალ აკადემიაში წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელიც მოიცავს პროგრამის აქტუალურობის დადგენას, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მოძიებას (ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური), პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევას, პროგრამის შინაარსის, სტუქტურის, მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შეფასების ფორმების განსაზღვრას. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაც მოხდა ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურების გათვალისწინებით, მასში ჩართული იყო, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები (სხვა უსდ-ს წარმომადგენლები). პროგრამის ხელმძღვანელებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოხდა მსგავსი პროფილის ადგილობრივი და საერთაშორის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინის, სტრუქტურის, სწავლის მიზნების, შედეგებისა და კრედიტების გადანაწილების შესწავლა. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი წესით, ეფუძვნება ევროპული კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემას და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. აღნიშნული პროგრამის შედგება 240 კრედიტისგან და მოიცავს 175 კრედიტს ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებული სასწავლო კომპონენტში, მათ შორის 125 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს, 20 კრედიტი ინგლისურ ენას, 10 კრედიტი პრაქტიკას, ხოლოდ 20 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომს. 65 კრედიტიანი არჩევითი სასწავლო კომპონენტიდან, 35 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსებისთვის ძირითადი სწავლების სფეროდან, 10 კრედიტი შევსება სტუდენტებს შეუძლიათ სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსებით, ხოლო 20 კრედიტი კი სავალდებულო თავისუფალი კომპონენტიდან. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ერთობლიობა პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს პროგრამის მრავალფეროვნებას და ითვალისწინებს სტუდენტების მრავალმხრივ ინტერესებს. ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო კურსები სტუდენტებს სძენს ფუნდამენტურ ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების მრავალი

მიმართულებით, მაგ. მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, მენეჯერული აღრიცხვა. ძირითადი სასწავლო საგნებისთვის განსაზღვრულია წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს მარტივიდან რთულ საკითხებზე გადასვლას და სტუდენტების მიერ ასათვისებელი მასალის მარტივად დაძლევის შესაძლებლობას. თუმცა რიგ შემთხვევებში, არჩევითი საგნებისთვის გამორჩენილია წინაპირობები (მაგ. ინტერნეტ-მარკეტინგი, ბრენდინგი, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ლიდერობა, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, საფინანსო-საბანკო სტატისტიკა- მათ არ გააჩნიათ წინაპირობა). ინგლისური ენის კომპონენტი უზრუნველყოფს ენების საერთო ევროპული ჩარჩოს თანახმად განსაზღვრული ენის B2 დონის შესაბამისი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. პრაქტიკის კომპონენტი სტუდენტებს ეხმარება თეორიული და პრაქტიკული ცოდნის რეალიზებაში. 20 კრედიტიანი საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც არის პროგრამის სავალდებული კომპონენტი, ორიენტირებულია, სტუდენტმა შეასრულოს თეორიული ხასიათის ნაშრომი. თუმცა რამდენადაც საკმაოდ ბევრი კრედიტი ეთმობა აღნიშნულ კომპონენტს პროგრამის ფარგლებში, სასურველია მასში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი საველე სამუშაოებისა და პირველადი მონაცემების მოპოვებისა/ დამუშავების აქტიური ინტეგრირებით. ასევე სასურველია ბიზნესის კვლევების სასწავლო კურსის დამატება საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად.

- წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. მისი შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები იღებენ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს, ხოლო მათთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება ძალა დაკარგულად გამოცხადდა 12/04/2019-ში, მისი ჩანაცვლება მოხდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10/04/2019 №69/ნ ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. შესაბამისად, კოლეჯმა პროგრამულ დოკუმენტებში უნდა გამოასწოროს ხარვეზი, კერძოდ, ჩაანაცვლოს ძალადაკარგული 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება და უზრუნველყოს კვალიფიკაციის მინიჭება განახლებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10/04/2019 №69/ნ ბრძანების შესაბამისად

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები პროგრამასთან მიმართებაში (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები). დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ მათი მრავალი შემოთავაზება გათვალისინებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის განახლების

პროცესში, განსაკუთრებით გაძლიერდა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები და ინგლისურის კომონენტი. თუმცა სასურველია დაინტერესებული მხარეებთან ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საპასუხოდ განხორციელებული აქტივობების/განხორციელებული ცვლილებების სისტემური დოკუმენტირება;

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ხარისხის მართვის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ ბაზრის ანალიზი; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: - პროგრამულ დოკუმენტებში მოხდეს ხარვეზის გამოსწორება, კერძოდ, 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ძალადაკარგული ბრძანების ჩანაცვლება და კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს განახლებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10/04/2019 №69/ნ ბრძანების შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არჩევით სასწავლო კურსებსაც განესაზღვროთ შესაბამისი წინაპირობები სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალის მარტივად დაძლევის მიზნით; სასურველია დაინტერესებული მხარეებთან ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საპასუხოდ განხორციელებული აქტივობების /განხორციელებული ცვლილებების სისტემური დოკუმენტირება; რამდენადაც საბაკალავრო ნაშრომი პროგრამის საავალდებულო კომპონენტია და ეთმობა 20 კრედიტი, სასურველია მასში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი საველე სამუშაოებისა და პირველადი მონაცემების მოპოვება/ დამუშავების აქტიური ინტეგრირებით. ასევე სასურველია ბიზნესის კვლევების სასწავლო კურსის დამატება საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად; სასურველია პროგრამას დაემატოს “მმართველობითი აღრიცხვა” არჩევითი სასწავლო კურსის სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ***☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში, წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა, სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი, რომლებიც ლოგიკური და თანმიმდევრულია, განსაზღვრავს თითოეული სასწავლო კურსით მისაღწევ პროგრამის სწავლის შედეგს. ისინი იძლევიან ინფორმაციას იმის შესახებ თუ, რომელი კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და რა ხარისხით - გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამება კურსის შინაარსს, მიღწევადი და გაზომვადია. ○ სილაბუსის თემატიკა შეესაბამება მასში მითითებული ლიტერატურას და უზრუნველყოფს სტუდენტებს საჭირო მასალით. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა თანამედროვეა და ეფუძნება დარგში არსებულ მიღწევებს. სასწავლო კურსის თემატიკა დაძლევადია და შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. თუმცა, კარგი იქნება თუ მაღალი კურსების სასწავლო კომპონენტებში, დამხმარე ლიტერატურაში დაამატებენ ინგლისურენოვან ბოლოდროინდელ გამოცემებს, რადგან ქართულად არსებული სახელმძღვანელოები შედარებით მწირია. ○ სასწავლო კურსები 3, 4, 5 და 6 კრედიტიანია, წარმოდგენილი დატვირთვა და შედეგები შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან. ○ სილაბუსებში გამოყენებულია სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდები. სილაბუსებში განსხვავდება შეფასების კომპონენტები. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად გამოყენებულია დასკვნითი შეფასება, წერითი გამოცდის სახით 40 ქულა, შუალედური შეფასება, შუალედური წერითი გამოცდა 20 ქულით და პრაქტიკული მეცადინეობა ზეპირი/წერითი გამოკითხვით 40 ქულა. კომპონენტი - პრაქტიკული მეცადინეობა ზეპირი/წერითი გამოკითხვით, სხვადასხვაგვარია, მაგალითად „ბრენდინგში“ ევერესტიკული მეთოდით გამოკითხვა, ხორციელდება 5-ჯერ და ჯამურად მოიცავს 10 ქულას, სააზროვნო შეკითხვის კომპონენტით - პრაქტიკულ მეცადინეობაზე ხდება სიტუაციური ამოცანების განხილვა. თითოეულ თემასთან დაკავშირებული ამოცანების ანალიზი ფასდება მაქსიმუმ 3 ქულით, შესაბამისად, თემების შეფასებებთან დაკავშირებული ქულების მაქსიმალური ჯამია

7x3=21 ქულა. დემონსტრირების მეთოდით - 9 ქულა. სხვადასხვა სასწავლო კურსს ეს შეფასების მეთოდი განსხვავებული აქვს და შეესაბამება კურსის შინაარსს.

- განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სასწავლო კურსი საგადასახადო საქმე, რომელიც შეთავაზებულია ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტის პერსპექტივიდან. მასში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი გადასახადის გადახდის დეკლარირების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის კომპეტენციების განვითარებას.

- ზემოთ აღწერილი გარემოებების გათავალიწინებით, ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის საბაკალავრო პროგრამა; ○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ბაკალავრიატის დებულება; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან; ○ ვებ - გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კარგი იქნება თუ მაღალი კურსების სასწავლო კომპონენტებში, დამხმარე ლიტერატურაში დაამატებენ ინგლისურენოვან ბოლოდროინდელ გამოცემებს, რადგან ქართულად არსებული სახელმძღვანელოები შედარებით მწირია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსკუთრებით უნდა აღინიშნოს სასწავლო კურსი საგადასახადო საქმე, რომელიც შეთავაზებულია ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტის პერსპექტივიდან. მასში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი გადასახადის გადახდის დეკლარირების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის კომპეტენციების განვითარებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის სასწავლო კურსებში გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები. შუალედურ და ფინალური გამოცდასთან ერთად პრაქტიკული მეცადინეობების ნაწილში ჩასმულია შემთხვევის შესწავლა. ესე, ქეისის ამოხსნა, პრეზენტაცია და სხვა, რომელიც შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო პრაქტიკა, 10 კრედიტით და საბაკალავრო ნაშრომი 20 კრედიტით. ორივე მათგანი რეგულირდება “შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ბაკალავრიატის დებულებით”, ამასთანავე წარმოდგენილია შესაბამისი სილაბუსები. პრაქტიკის კომპონენტისთვის გათვალიწინებულია შუალედური და ფინალური შეფასებები, რომელთაგან პრაქტიკული დავალების შეფასება ხდება მენტორის მიერ და ასევე გათვალიწინებულია პრაქტიკის საჯარო დაცვა. პრაქტიკის შეფასების მეთოდები ადეკვატური და მრავალკომპონენტიანია, რომლებიც ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. გარდა შუალედური შეფასებებისა გათვალიწინებულია პრაქტიკის ანგარიშის დაცვა, რომელიც ხდება აკადემიის რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის წინაშე და დაცვაზე სტუდენტი დაიშვება რექტორის სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები. სტუდენტი დაცვაზე წარმოადგენს დასრულებული სახით მომზადებულ და სათანადოდ გაფორმებულ პრაქტიკის ანგარიშს, მოახდენს მის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას ზეპირი ფორმით და პასუხს გაცემს დასმულ შეკითხვებს. დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებულია 40-ზე მეტი მემორანდუმი. მათთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა მათი მზაობა

სტუდენტების სტაჟირებასთან დაკავშირებით, ამასთანავე დადასტურდა წინა წლებში მათთან თანამშრომლობა.

საბაკალავრო ნაშრომის საათების რაოდენობა, მისანიჭებელ კრედიტების ოდენობას შეესაბამება, თუმცა სილაბუსში წერია, რომ 180 საათი არის საკონტაქტო, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისთვის გათვალისწინებულია 320 საათი. რადგან საბაკალავრო ნაშრომი არის სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად შესასრულებელი სამუშაო, კონკრეტული მითითებების შესაბამისად, საჭიროა გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია, საკონტაქტო საათების ოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები უნდა იყოს ვიდრე 180 საათი, კომპონენტისთვის დათმობილ 500 საათში.

საბაკალავრო ნაშრომის დებულებით, გათვალისწინებულია, რომ საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

- თავფურცელი - საბაკალავრო ნაშრომის პირველი გვერდი;
- ანოტაცია - არაუმეტეს ერთ გვერდზე უნდა ასახავდეს ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, ინოვაციები, დასმული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული მეთოდები.
- ტექსტის ძირითადი ნაწილი – შეიძლება შესრულებული იყოს, როგორც თავებად, ასევე პარაგრაფებად;
- დასკვნა - უნდა ასახავდეს ნაშრომის შედეგებს;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე და უცხოურ ენებზე ანბანური თანმიმდევრობით.

განხილვისთვის წარმოდგენელ საბაკალავრო ნაშრომები ძირითადად მეორადი წყაროები ანალიზის საფუძველზე იყო მომზადებული, შესავალ ნაწილში არ იყო წარმოდგენელი, მიზნები, ინოვაციები, დასმული ამოცანა (ამოცანები) და გამოყენებული მეთოდები. ამიტომ მნიშვნელოვანია საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მასში მიზნების, ამოცანების და კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილის წარმოდგენას. რათა მიღწეული იქნას სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი/ და ტრანსფერული უნარების განვითარება.

საბაკალავრო ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის სენატის, 2020 წელის 03 თებერვალის დადგენილება N3-ის, ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, თანახმად „20.2. სტუდენტის შემთხვევაში საბაკალავრო ნაშრომში 40%-ზე ზემოთ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტი იხსნება საბაკალავრო ნაშრომის დაცვიდან.“ კარგი იქნება თუ, სტუდენტს მიეცემა საშუალება წინასწარ შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატზე და საბოლოო დაცვამდე შეამციროს ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის დონე.

საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, დებულებით გათვალიწინებულია, რომ „საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელად შეიძლება დამტკიცდეს აკადემიის აკადემიურ და მოწვეულ თანამდებობაზე არჩეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში დოქტორის ხარისხი“.

უსდ-ს ყოველწლიურად მართავს საერთაშორისო კონფერენციებს და გამოსცემს შრომების კრებულს.

ზემოთ აღწერილი გარემოებების შესაბამისად პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის საბაკალავრო პროგრამა; • შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ბაკალავრიატის დებულება; • შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის, 2020 წელის 03 თებერვალის დადგენილება N3-ის, ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები; • აკადემიის მიერ ორგანიზებული ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები; • სამეცნიერო ნაშრომების კრებული - ივერონი; • ინტერვიუს შედეგები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან; • პროგრამის სილაბუსები; • გაფორმებული მემორანდუმები; • ვებ - გვერდი www.freeacademy.edu.ge.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები • საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, საჭიროა გადაიხედოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების პროპორცია, საკონტაქტო საათების ოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები უნდა იყოს ვიდრე 180 საათი, კომპონენტისთვის დათმობილ 500 საათში; • საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასში მიზნების, ამოცანების და კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილის წარმოდგენას რათა მიღწეული იქნას სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • კარგი იქნება თუ სტუდენტს მიეცემა საშუალება წინასწარ შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატზე და საბოლოო დაცვამდე შეამციროს ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის დონე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ *<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>* ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის ისეთი მეთოდები, რომლებიც შესაბამისობაშია ბაკალავრიატის საფეხურთან, ითვალისწინებს სასწავლო კურსის შინაარსს და კურსით მისაღწევ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების ფარგლებში ფართოდაა გამოყენებული სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული სწავლება. პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შემდეგ აქტივობებს - დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში და კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები არ არის გამიჯნული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებით. კონკრეტულად დოკუმენტში წერია -”თ) სწავლება-სწავლის მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.); უნდა მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდისა, შესაბამისი აქტივობების გამიჯვნა, როგორც სილაბუსებში ასევე პროგრამაში. სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსებით განსაზღვრული პრაქტიკული უნარების, ანალიზისა და მსჯელობის, დარგთან დაკავშირებული შემთხვევების შეფასების, სტრატეგიული გადაწყვეტილებების და ზოგადად პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუების საფუძველზე ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სტუდენტებთან დადგინდა, რომ პროგრამის განხორცილებისას სწორად არის გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები. პროგრამაში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები გამოყენებულია სილაბუსებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები მეტწილად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის საბაკალავრო პროგრამა; ○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ბაკალავრიატის დებულება; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ ვებ - გვერდი www.freeacademy.edu.ge.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები - უნდა მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდის, შესაბამისი აქტივობების გამიჯვნა, როგორც სილაბუსებში ასევე პროგრამაში, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ***მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ კოლეჯში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N#3 ბრძანების დამტკიცებული სტუდენტთა შეფასების 100 ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა უდრის 100, ხოლო მინიმალური დადებითი შეფასება არის 51 ქულა. თითოეულ შეფასების ფორმას განსაზღვრავს ლექტორი დამოუკიდებლად ან პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით დადგენილი მინიმალური კომპეტენციებს ფარგლებში. ○ პროგრამაში შეფასება მრავალკომპონენტიანია და სპეციფიკები ჩაშლილია კონკრეტულ სილაბუსში. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად: პრაქტიკული აქტიობა და შუალედური გამოცდა. თითოეულს აქვს პროცენტული წილი შეფასების სისტემაში, 100 ბალიანი სისტემიდან შუასემესტრულ კომპონენტზე გადანაწილებულია 60 ქულა, ხოლო 40 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუასემესტრული კომპონენტისთვის განსაზღვრულია 60 ქულა ნაწილდება შეუასემესტრული შეფასების მიხედვით. ○ სილაბუსებში გაწერილია დეტალურად შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, ასევე ქულათა რანჟირება სხვადასხვა აქტიობების მიხედვით. ზოგიერთ კურსში, მაგალითად პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი, მოცემულია შეფასების კრიტერიუმი მაქსიმალური ქულით, თუმცა არ არის დაკონკრეტებული ამ კრიტერიუმის ქულათა რანჟირება, სასურველია ასეთ კურსებში დაკონკრეტდეს ქულათა რანჟირების კრიტერიუმები. ○ შუალედური და დასკვნითი გამოცდა არის წერითი. ○ ცოდნის შეფასების მეთოდები მორგებულია სასწავლო კურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ○ სწავლის დაწყების პირველ კვირას ყველა ლექტორი ვალდებულია გააცნოს სტუდენტს სილაბუსი და შეფასების კრიტერუმები. ○ ექსპერტებს გვქონდა საშუალება, გავსაუბრებოდით სტუდენტებს, რომლებმაც აღნიშნული დაადასტურეს, ისინი თვლიან, რომ მათი შეფასება ხორციელდება

ობიექტურად. ნიშნები ეტვირთებათ ელექტრონულად სამი დღის ვადაში, ზოგჯერ უფრო ადრეც.

- სტუდენტების შეფასება რეალისტური და გამჭირვალეა და ეყრდნობა კოლეჯში არსებულ შიდა განაწეს.
- კოლეჯში არსებობს გამოცდების ცენტრის დებულება, რომელიც არეგულირებს ნიშნის გასაჩივრების პროცედურას. როგორც სტუდენტები ამბობენ საგამოცდო პროცესი მიმდინარეობს ორგანიზებულად ყოველგვარი პრობლემების გარეშე, თუმცა საგამოცდო ცენტრის მოწყობა ხელს შეუწყობს სტუდენების შეფასების გამჭირვალეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თბილისის თავისუფალი აკადემიის პროგრამის თვითშეფასები ანგარიში; ○ საგამოცდო ცენტრის დებულება; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ზოგიერთ კურსში, მაგალითად პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი, მოცემულია შეფასების კრიტერიუმი მაქსიმალური ქულით, თუმცა არ არის დაკონკრეტებული ამ კრიტერიუმის ქულათა რანჟირება, სასურველია ასეთ კურსებში დაკონკრეტდეს ქულათა რანჟირების კრიტერიუმები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

- სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის კოლეჯი სათანადო პირობებს უქმნის სტუდენტებს. სწავლის დასაწყისში სტუდენტებს უტარდებათ საინფორმაციო შეხვედრები, სასწავლო კომპონენტების, არჩევითი, ძირითადი საგნების და ა.შ. სწორად ფორმირების შესახებ. ასევე სტუდენტებს აქვთ საშუალება „სასწავლო პროცესების მართვის სისტემაში“ გაეცნონ ინფორმაციას ელექტრონულად. ამ ბაზაში იტვირთება ინფორმაცია სასწავლო პროცესების შესახებ, ასევე განთავსებულია თითოეული საგნის სილაბუსი და სტუდენტებს აქვე ეტვირთებათ ნიშნები. სასწავლო პროცესების მართვის სისტემა იძლევა საშუალებას პერსონალსა და სტუდენტს შორის იყოს შეუფერხებელი კომუნიკაცია. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საკმაოდ მოქნილი ელექტრონული სისტემაა. მათ უმოკლედ დროში, ოთხ დღეში, ხშირად უფრო ადრეც ეტვრთებათ ნიშნები. რაც შეეხება წიგნებს, მათ ეგზავნებათ მეილით, ვინაიდან ეს ბაზა ახალია, ჯერ კიდევ ხორციელდება წიგნების გაციფრულების და დამატების პროცესი, რომელიც, როგორც ადმინისტრაციამ თქვა ერთ წელიწადზე ადრე დასრულდება. თუმცა სტუდენტებს ამის გამო არ შექმნიათ პრობლემა, სანამ სწავლის პროცესი გადავიდოდა ონლაინ რეჟიმში მანამდეც ეგზავნებოდათ სასწავლო მასალები მეილებზე, თუ დამატებით ჭირდებოდათ წიგნი, მათ ქონდათ საშუალება ბიბლიოთეკიდან გამოტანის.

- პანდემიის პირობებში თუ სტუდენტს დამატებით ჭირდება წიგნი, მას შეუძლია მიმართოს ბიბლიოთეკის წარმომადგენელს, რომელიც მაქსიმალურად მოკლე ვადებში გაუგზავნის მეილზე.

- აკადემია ყოველწლიურად ატარებს სტუდენტების გამოკითხვებს. ექსპერტებს გვქონდა საშუალება, გავცნობოდით კვლევის შედეგებს, სადაც სტუდენტები აფასებდნენ, როგორც სასწავლო კურსს, ასევე ლექტორებს. ყოველწლიურად, რომ ტარდება გამოკითხვები, ეს დაადასტურს სტუდენტებმა და ისინი ცდილობენ ჩაერთონ ამ გამოკითხვებში. მათ ასევე აღნიშნეს, რომ გარდა ამ გამოკითხვებისა, მათ აქტიური ურთიერთობა აქვთ დაწესებულების ადმინისტრაციასთან და ფაკულტეტთან.

- უნივერსტეტში სწავლობს ბევრი მობილობით გადმოსული სტუდენტი, ამის რამოდენიმე მიზეზი არსებობს. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, პირველო რიგში მათ ძალიან მოწონთ გარემო, რომელსაც უნივერსტეტი სთავაზობს, გარემოში

იგულისხმება, არა მხოლოდ ინფრასტრუქტურა, არამედ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მეგობრული ურთიერთობა სტუდენტებთან, ასევე მოქნილი გადახდის პირობები, სწავლის მაღალი დონე და პროფესიონალი ლექტორები.

- აკადემიაში ფუნქციონირებს სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრი, საიდანაც სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია დასაქმებისა და სტუდენტთა დამოუკიდებელი ინიციატივების შესახებ.

- სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით იმართება შეხვედრები დამსაქმებლებთან.

- სტუდენტებს აქვთ საშუალება გამოკითხვის შედეგად დაასახელონ მათთვის საინტერესო დამსაქმებელი და აკადემია გეგმავს შეხვედრას ამ კომპანიის ხელმძღვანელობასთან.

- ექსპერტებს გვქონდა შესაძლებლობა, შევხვედროდით კურსდამთავრებულებსაც, რომელთა ძირითადი ნაწილი არის თავადდამსაქმებელი, თუმცა მათ აღნიშნეს, რომ აკადემიიდან პერმანენტულად იღებნენ ინფორმაციას დასაქმებასთან დაკავშირებით.

- როგორც აქტიურმა სტუდენტებმა აღნიშნეს, მათ ფაკულტეტზე 4 სტუდენტი ამ სემესტრში დასაქმდა სადაზღვევო კომპანიაში აკადემიის დახმარებით.

- აკადემია გარდა დასაქმების ხელშეწყობისა ყოველწლიურად ატარებს კონფერენციებს, სადაც სტუდენეტებსაც აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა.
- აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო სტუდენტების წარმომადგენელი; სტუდენტებს სურდათ, რომ პროგრამაში ინგლისური ენის კომპონენტი გაძლიერებულიყო, რაც პროგრამის განმახორციელებლებმა გაითვალისწინეს.

- პროგრამა იმგვარად არის დაგეგმილი, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია მრავალფეროვანი დასაქმების სფეროები შეარჩიოს და დასაქმდეს. პროგრამის განმახორციელებლების მთავარი ამოცანა სწორედ ის იყო, რომ მათ შეექმნათ ისეთი პროგრამა, რომლის კურსდამთავრებული იქნებოდა მოთხოვნადი დასაქმების ბაზარზე.

- პროგრამისათვის და ზოგადად დაწსებულებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტმა სწორად და ადექვატურად შეაფასოს ის ძალისხმევა რასაც აკადემია ახორციელებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სტუდენტების ხელშეწყობისა თუ სხვა აქტიობების ფარგლებში. თბილისის თავისუფალი აკადემიის შემთხვევაში ეს ძალისხმება ძალიან კარგად ჩანდა. სტუდენტები ძალიან კარგად იცნობდნენ პროგრამას, ისინი ჩართულნი იყვნენ აკადემიის სხვადასხვა აქტივობებში, რომლებიც პანდემიიდან გამომდინარე ონლაინ რეჟიმში ხორციელდება.
- აკადემიას აქვს დაწყებული ძალიან აქტიური მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. მომავალ წელს უკვე გეგმავენ ერასმუსის პროგრამაში ჩართვას, მათ ყავთ რამოდენიმე აქტიური საერთაშორისო პარტნიორი. ერთ-ერთი ასეთი აქტიური თანამშრომლობა აქვთ ბალტიის საერთაშორისო აკადემიასთან, გასულ წელს ჩატარდა ონლაინ ტრენინგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის თვითსეფასები ანგარიში; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; ინტერვიუს შედეგები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ *<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>* ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ შეფასდა პროგრამის საფეხურიდან გამომდინარე
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
• პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; • პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; • პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- როგორც კოლეჯის მიერ წარმოდგენილმა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადმა საქმეებმა და ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, პროგრამის განმახორციელებელი პირები თავად ფლობენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციას. თბილისის თავისუფალ აკადემიაში მოქმედებს აკადემიის სენატის მიერ დამტკიცებული „პერსონალის მართვის წესი“, რომლის მიხედვითაც აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით. ამავე დოკუმენტითვე რეგულირდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და პერსონალის აფილირების წესიც. საკონკურსო კომისია იხილავს კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და ადგენს მათ შესაბამისობას საკონკურსო პირობებთან, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან. აღსანიშნავია, რომ წინა აკრედიტაციის პროცესში მითითებული რეკომენდაციების საფუძველზე, სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდისა და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, რაც აკადემიური და მოწვეული პერსონალის განახლებაში გამოიხატა. როგორც ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რებრენდინგი, რომელიც აკადემიამ განიცადა, გარკვეულწილად პერსონალსაც შეეხო, ყურადღება მიექცა პრაქტიკოსი სპეციალისტების მოზიდვას.

- აკადემიაში მიმდინარეობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ანალიზი. ამას მოწმობს აკადემიის მიერ წარმოდგენილი „ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის პროფესორების აკადემიური დატვირთვის სქემა 2020-2021 წლის გაზაფხულის სემესტრში“, ასევე „აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის მაჩვენებელი სხვა უსდ-ში“. უზრუნველყოფილია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვა და სხვა მათზე დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულება, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; კერძოდ: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის პერსონალის რაოდენობა არის 30, აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 23. პერსონალის აღნიშნული რაოდენობიდან 2 არის პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ-პროფესორი, 1 ასისტენტი. სულ აფილირებული აკადემიური პერსონალი- 13 (მათ შორის აფილირებული დარგობრივი სპეციალისტი - 10), მოწვეული პერსონალი -7, სტუდენტთა რაოდენობა - 155. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან 3/1, აკადემიური მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში არის 1/5. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში არის 1/12.

- პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და ასევე თანახელმძღვანელი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება „აკადემიის დებულებით“. ისინი უზრუნველყოფენ პროგრამის შემუშავებას აკადემიაში მოქმედი სამართლებრივი აქტებით, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით. პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი წარმოადგენენ შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალს, რაც დასტურდება მათი პირადი

საქმეებით, ისინი აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის მოდიფიცირების, განხორციელების, განვითარების და შეფასების პროცესებში, მონაწილეობენ სტუდენტთა კონსულტირებაში სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით (23), რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქცია-მოვალეობებს. აღნიშნული პერსონალის მიერ თანამდებობის დაკავება განისაზღვრება პერსონალის მართვის წესის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის მართვის წესი; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ ინსტიტუციის მიერ წამოდგენილი პერსონალის პირადი საქმეები; ○ შეხვედრის ოქმები; ○ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩამონათვალი; ○ ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის პროფესორების აკადემიური დატვირთვის სქემა 2020-2021 წლის გაზაფხულის სემესტრში; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის მაჩვენებელი სხვა უსდ-ში; ○ აკადემიის დებულება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ ***<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>*** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ რეგულარულად ტარდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება და შედეგების ანალიზი ხარისხის მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელთაგან მნიშვნელოვანია შეფასება შემუშავებული ფორმებისა და კრიტერიუმების მიხედვით, კოლეგიალური დასწრება ლექცია-სემინარებზე და სხვ. შეფასების შედეგები კონფიდენციალურია სხვა პერსონალისთვის. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შეფასების შედეგების მიხედვით დგება რეკომენდაციები, რომელიც დადგენილი პროცედურის მიხედვით გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს, რათა ხარვეზების არსებობის შემთხვევაში გატარდეს ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება მათზე რეაგირება, რაც გულისხმობს პერსონალის წახალისებას (მათ შორის ფულადი სახით) და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. ○ აკადემია ზრუნავს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. როგორც აღნიშნულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, ისინი მუდმივად გრძნობენ მხარდაჭერას აკადემიის მხრიდან მათთვის სამეცნიერო/კვლევისთი საქმიანობის განხორციელებაში, ნაშრომების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და სხვადასხვა პუბლიკაციების გამოცემასა და დაბეჭდვაში. თუმცა პროგრამის ბიუჯეტში ეს არ იკვეთება. აკადემია ასევე ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სხვადასხვა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობაზე, რისთვისაც გარკვეული ფინანსური რესურსები ჩადებულია პროგრამის ბიუჯეტში. აღნიშნულის გათვალისწინებით აკადემიის მიერ ორგანიზებულია სხვადასხვა სახის ტრენინგ-კურსები. ○ რაც შეეხება საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში მონაწილეობას, გამოკითხვის შედეგებითა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ჩანს, რომ ასეთ აქტივობებში საკმაოდ მცირეა პერსონალის ჩართულობა. ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აკადემია გარკვეული ნაბიჯების გადადგმას გეგმავს აღნიშნული მიმართულებით, რაც პროგრამის ბიუჯეტშიც აუცილებლად უნდა აისახოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o 2019-2020 წლების სასწავლო კურსების შეფასება; o 2019-2020 წლების ლექტორების შეფასება; o ხარისხის მართვის მექანიზმები; o 2020 წლის ბიუჯეტი; o პერსონალის განვითარების ღონისძიებები; o ადგილობრივი მემორანდუმები; o საერთაშორისო მემონარდუმები; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: - აკადემიის მიერ სხვადასხვა ღონისძიებების გატარება ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად, საერთაშორისო აქტივობებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით (მ.შ. დაფინანსების გათვალისწინება ბიუჯეტში).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ***მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აკადემიაში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლის დათვალიერება ექსპერტთს ჯგუფის წევრების მიერ მოხდა ონლაინ ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით. აკადემიაში სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები: ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, დამონტაჟდა ლიფტი, შეძენილია უახლესი ტექნიკა და სათანადო ინვენტარი, კომპიუტერული ქსელით აღჭურვილია აუდიტორიები (16 აუდიტორია), რომელთაც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს IT სამსახური. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დისტანციურად, ონლაინ ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით დაათვალიერეს დავით სარაჯიშვილის სახელობის საკონფერენციო დარბაზი, ასევე სტუდენტური ლაუნჯი და სტუდენტთათვის განკუთვნილი სხვადასხვა სივრცეები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტრუქტურაში გათვალისწინებულია საგამოცდო ცენტრი, რომლის მოწყობაც იგეგმება მომავალში.

- აკადემიაში დანერგილია და ფუნქციონირებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა და სტუდენტური ბაზა, რომლის საშუალებითაც სტუდენტები ინფორმირებული არიან ყველა საჭირო ინფორმაციის შესახებ: მასში იტვირთება ლექციების ცხრილი, სილაბუსები, შეფასებისთვის საჭირო ანკეტები, შედეგები და სხვა საჭირო ინფორმაცია, რომლითაც შესაბამისი წვდომის უფლებებით სარგებლობენ სასწავლო პროცესში ჩართული პირები.

- აკადემიაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკითა და წიგნადი ფონდით და თავმოყრილია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო, სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონული ვერსიები). ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის ვიზიტის დროს ცნობილი გახდა, რომ ბიბლიოთეკის შევსება მოხდა ახალი ლიტერატურით. ახლო მომავალში დაგეგმილია ბიბლიოთეკის ფუნქციონალის გათვალისწინებაც „სტუდენტურ ბაზაში“. ასევე იგეგმება უფრო მეტი ლიტერატურის გაციფროვნება, რამაც არსებული პანდემიის პირობებში განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტულ სამეცნიერო ბაზაზე ღია წვდომას.

- ბიბლიოთეკას ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც უძღვება ბიბლიოთეკაში მიმდინარე ყველა პროცესს. მათ მიერ მოხდა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ შერჩეული ძირითადი ლიტერატურის და სამეცნიერო ბაზებზე წვდომის დემონსტრირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ○ ტექნიკური აღჭურვილობის შეფარდება სტუდენტების რაოდენობასთან; ○ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; ○ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; ○ აკადემიის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ აკადემიის ვებ-გვერდი - www.freeacademy.edu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საგამოცდო ცენტრის მოწყობა, საგამოცდო პროცესის შესაბამის გარემოში წარმართვისა და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ აკრედიტაციის ესპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებითა და აკადემიის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციით შეიქმნა გარკვეული წარმოდგენა პროგრამის ბიუჯეტის შესახებ, რომლის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება აკადემიის ერთიანი ბიუჯეტიდან. დოკუმენტაციაში მოცემულია პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად გამოყოფილი თანხები აქტივობების მიხედვით. წინა აკრედიტაციის რეკომენდაციების შესაბამისად, აკადემიამ იზრუნა დაფინანსების ალტერნატიულ გზებზე და 2020 წელს შეიმუშავა მასწავლებელთა სხვადასხვა საგნებში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები. თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალის (რაოდენობა-30) ანაზღაურებაზე გამოყოფილი ხარჯი მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 15% შეადგენს (47040), მატერიალური წახალისება -2502, რაც პერსონალის მდგრადობისთვის არცთუ ისე საკმარისია. ○ უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ბიუჯეტი უფრო მეტად იყოს მორგებული პრიორიტეტებზე, კერძოდ გამოყოფილი იყოს ფინანსური რესურსი ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გასაძლიერებლად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მივლინებებისთვის ხარჯების დასაგეგმად, სამეცნიერო აქტივობის ხელშესაწყობად. ინტერვიუს დროს, აღნიშნული ფაქტის მიზეზად დასახელდა პანდემიით გამოწვეული მდგომარეობა და მივლინებებზე თანხა ამ მიზეზით არ იქნა გათვალისწინებული ბიუჯეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: - უფრო მეტად გამოიკვეთოს პროგრამის ბიუჯეტის ბმა აკადემიის მისიასთან. გამოიყოს მეტი ფინანსური რესურსი ინტერნაციონალიზაციის მიმართულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გასაძლიერებლად, აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში პერსონალის მეტად მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ***<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>*** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

1.	შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების პროცესების საკვანძო ასპექტები მითითებულია შპს „თბილისის თავისუფალი აკადემიის“ (შემდგომში - დაწესებულება) სენატის მიერ დამტკიცებულ შემდეგ ძირითად დოკუმენტებში:

● „ხარისხის მართვის პოლიტიკა“ (დამტკიცებულია 17.02.2020; 23.03.2020) - განმარტავს ისეთ საკითხებს როგორიცაა: ხარისხის მართვის პოლიტიკის არსი, პროგრამების და სასწავლო პროცესის, პროგრამის რესურსების და სტუდენტთა მომსახურების სერვისების, ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესება-განვითარების მექანიზმები და სხვ.;

● „ხარისხის მართვის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა“ (დამტკიცებულია: 17.02.2020; 25.02.2021) - განმარტავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ხარისხის მართვის სისტემის მიზნები და ძირითადი პრინციპები (მაგ., PDCA პრინციპი), ხარისხის მართვის მექანიზმები: ა) შიდა მექანიზმები (მათ შორის, პროგრამის, სწავლება-სწავლის ხარისხის, პროგრამის განმახორციელებელთა, სასწავლო რესურსების, სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების, დაწესებულების მართვის ეფექტიანობის შეფასება, ხარისხის მართვის სამსახურის წლიური ანგარიშები და შედეგების გამოყენება) და ბ) გარე მექანიზმები (მათ შორის, პოტენციური დამსაქმებლების, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების, სხვა გარე შემფასებების მიერ გამოვლენილი გასაუმჯობესებელი ასპექტები);

● „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ (დამტკიცებულია 30.03.2020; 25.02.2021) - განმარტავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროგრამის შეფასების მეთოდები (პირდაპირი და არაპირდაპირი), პროგრამის მიზნებთან სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენის მექანიზმები, მოთხოვნები პროგრამის სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკისადმი, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (მათ შორის, სამიზნე ნიშნულების დადგენის და მათი ანალიზის მნიშვნელობა), პროგრამის გაუმჯობესებისთვის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის და შეფასების შედეგების გამოყენება და სხვ.

● „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება“ (დამტკიცებულია 06.07.2020) - განმარტავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მნიშვნელობა და მიზანი, მონიტორინგზე პასუხისმგებელი სტრუქტურები და მონიტორინგის მეთოდები, მიღებულ შედეგებზე რეაგირება (აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ერთ-ერთ მექანიზმად მიიჩნევა გაუსის განაწილების მრუდთან მიახლოების კონტროლს);

● „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“ (დატკიცებულია: 24.02.2020; 25.02.2021) - განმარტავს ისეთ საკითხებს,

როგორიცაა: პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, პროგრამის შინაარსი, შემოწმება-განვითარების ინსტრუმენტები და ცვლილებების შეტანის წესები. ამ დოკუმენტის შემადგენელი ნაწილია შემდეგი დანართები: #01 – „პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია; #02 - სილაბუსის შევსების ინსტრუქცია; #03 - სილაბუსის უნიფიცირებული ფორმა; #04 - საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა; #05 - სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების ფორმა.

ასევე, დისტანციური სწავლების პროცესის მოწესრიგებისათვის შემუშავებულია: 1) „ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესები“ (დამტკიცებულია: 13.03.2020; 25.02.2021) - განმარტავს ელექტრონული სწავლების პროცესის დაგეგმვის თავისებურებებს, სწავლებისათვის გამოყენებულ ელექტრონულ პლატფორმებს, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების ჯგუფების, პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალის უფლება-მოვალეობებს, ასევე ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ასპექტებს; 2) „ელექტრონული სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები“ (დამტკიცებულია 25.02.2021) - განმარტავს ელექტრონული სწავლება-სწავლის პროცესს, სწავლების ხარისხის შეფასების და ანალიზის საკითხებს.

ექსპერტების კითხვასთან დაკავშირებით: რამ გამოიწვია ყველა მოქმედი დოკუმენტის შეცვლის საჭიროება, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებაში განხორციელდა რებრენდინგი, რა დროსაც შეიცვალა ყველა დოკუმენტის ვიზუალური მხარე, დაიხვეწა შინაარსი და მოხდა ახალი ვერსიების დამტკიცება (2020/2021 წწ.). დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დოკუმენტების ახალი ვერსიების დამტკიცებამდე გამოიყენებოდა დაწესებულების სენატის მიერ დამტკიცებული სხვა მარეგულირებელი/მეთოდოლოგიური დოკუმენტები (მაგ., „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“; „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემა“, „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“), რომლებიც ექსპერტებს დამატებით წარედგინათ ვიზიტის მსვლელობისას.

პროგრამის მოდიფიცირების პროცესს უძღვებდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განვითარების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, მოქმედი პროგრამის სტუდენტი და კურსდამთავრებული, ასევე, დამსაქმებლები. პროგრამის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს პროგრამის მოდიფიცირების პროცესზე და აღნიშნეს, რომ იყო შესწავლილი საქართველოს უსდ-ების ანალოგიური პროგრამები, დამსაქმებლების, მოქმედი პროგრამის განმახორციელებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებები (გამოკითხვებისა და სისტემატური შეხვედრების ფორმატში), რომლებმაც ინტერვიუს დროს დაადასტურეს პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა - მაგალითად, პროგრამის განმახორციელებლებმა ისაუბრეს პროგრამის მოდიფიცირების პროცესში განხორციელებულ საქმიანობაზე, თუმცა ვერ განმარტეს რა იყო გათვალისწინებული საქართველოს სხვა უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგად, ასევე ისაუბრეს თავიანთი სასწავლო კურსების შინაარსზე, თუმცა რიგ შემთხვევაში გაუჭირდათ იმის ახსნა, თუ როგორ შეარჩიეს სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები. დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ მათ აქტიური თანამშრომლობა ჰქონდათ და ახლაც

აქვთ დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე აღნიშნეს, რომ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები იყო გათვალისწინებული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში (მაგ., პრაქტიკული და საკომუნიკაციო უნარების გაძლიერება), რაც, მათი აზრით, ქმნის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის საფუძველს და პროგრამის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას.

პროგრამის შემდგომი განვითარების შესახებ დასმულ კითხვაზე პროგრამის ხელმძღვანელებმა ექსპერტებს უპასუხეს, რომ ამ ეტაპზე მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის მიუხედავად, აუცილებელი იქნება სხვადასხვა ასპექტების შესწავლა და გამოწვევებზე დროული რეაგირება: მაგ., COVID-19 პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში დამსაქმებლების პრიორიტეტებმა განიცადა ცვლილებები, რაც შემდგომშიც გაგრძელდება. ასევე, აუცილებელია მიღებული დადებითი გამოცდილების შენარჩუნება და მომავალში გამოყენება. პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელი იქნება როგორც პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების მოსაზრებების შესწავლა და კმაყოფილების კვლევა, ისე პროგრამის დაძლევაზე (აკადემიურ მოსწრებაზე) დაკვირვება. პროგრამის ხელმძღვანელების აზრით, მომავალში ერთ-ერთი პრიორიტეტი აუცილებლად იქნება დაინტერესებული მხარეების პროგრამის განვითარებაში ჩართულობის გაძლიერება.

ზემოთ აღნიშნულიდან (წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუს შედეგებიდან) გამომდინარე, შეიძლება ითქვას შემდეგი:

- პროგრამის მოდიფიცირების პროცესი განხორციელდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განვითარების ჯგუფის მიერ, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობდნენ დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები - დამსაქმებლები;

- პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ პროგრამის შემდგომი განვითარების ხედვა, მზაობა და იდენტიფიცირებული პრიორიტეტები;

- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები გაზიარებული და მხარდაჭერილია დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტებისა და დამსაქმებლების მიერ;

- ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების პროცესების საკვანძო ასპექტები წესრიგრება დაწესებულების სენატის მიერ დამტკიცებული დოკუმენტებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ:

1) არ იყო სრულად გამოყენებული პროგრამის შეფასების ყველა მექანიზმი, რომელიც მითითებულია როგორც დღეისათვის მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტებში, ისე მათ ამოქმედებამდე არსებულ რეგულაციებში: მაგ., 1) პროგრამის შეფასების პროცესში სამიზნე ნიშნულებთან დადარება (იხ.: საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, მ. 6, პ.6.2 და მ. 8., პ. 8.1), „სტუდენტების წინარე შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეალისტური სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისათვის“ (იხ. „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, პროგრამის

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, მ. 6, პ. 6.2); 2) პროგრამის შეფასება SWOT ანალიზის მეშველობით (იხ.: ხარისხის მართვის მექნიზმები და მათი შეფასების სისტემა, მ. 11, პ.11.4); 3) საერთაშორისო ექსპერტების მიერ გამოვლენილი გასაუმჯობესებელი ასპექტების ანალიზი (იხ.: ხარისხის მართვის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა, მ. 5, პ.5.1.1).

2) კორექტირებას საჭიროებს „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ #1 დანართში („პროგრამის/პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია“) არსებული, მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ჩანაწერები, მაგ.: ა) „მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი მითითებული უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის #120/ნ ბრძანების დანართი #4-ის შესაბამისად“ - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება; ბ) „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს, ძირითადი სწავლების სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს, <u>არჩევით სასწავლო კურსებს და თავისუფალ კომპონენტებს</u>“ - „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ თანახმად - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები და თავისუფალი კომპონენტები. ორივე შემთხვევაში მოიაზრება როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი ნაწილი; გ) „საბაკალავრო პროგრამის შინაარსი უნდა ემსახურებოდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ადეკვატური ცოდნის, უნარების და <u>ღირებულებების</u> დონის მიღწევას - „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ თანახმად „ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“; დ) „საბაკალავრო პროგრამის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს უმაღლესი განათლების <u>ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალს</u>“ - „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ თანახმად „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან“.

დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაციის *„აუცილებელია მოხდეს მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ყველა არსებული მექანიზმის ამოქმედება პროგრამის როგორ შიდა, ისე გარე შეფასების მიზნით“* მეტი სიცხადისთვის, დამატებით განვმარტავთ:

1) 2019-2020 წლებში მოქმედ და 2020-2021 წელს დამტკიცებულ დოკუმენტებში (მითითებულია წინამდებარე კომპონენტის აღწერით ნაწილში) გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების რამდენიმე იდენტური მექანიზმი, რაც იძლეოდა აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის შემუშავების პროცესში (მოდიფიცირების დაწყება: 20.11.2020, დამტკიცება: 25.02.2021) ამ მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას, მაგ.: ა) პროგრამის შეფასება SWOT ანალიზის მეშვეობით; ბ) სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა-გამოყენების შესაძლებლობა - აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა წარმოადგენს 2018 წლიდან დღემდე ავტორიზებულ რეჟიმში მოქმედი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირებულ ვარიანტს, რაც მოიაზრებს პროგრამების

სასწავლო კომპონენტების გარკვეულ თანხვედრას და ქმნის უკვე არსებული მონაცემების გამოყენებით სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის და გამოყენების შესაძლებლობას.

2) დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებით არ დასტურდება პროგრამის გარე შეფასებისთვის დაწესებულების მიერ დადგენილი ისეთი მექანიზმის გამოყენება, როგორიცაა „საერთაშორისო ექსპერტების მიერ გამოვლენილი გასაუმჯობესებელი ასპექტების ანალიზი“ (იხ.: ხარისხის მართვის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა, მ. 5, პ.5.1.1).

3) დოკუმენტი „2019-2020 სასწავლო წლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გაუსი“ ობიექტურად აფასებს თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგებს. ამავდროულად, არ დგინდება როგორ იყო/იქნება გამოყენებული მიღებული შედეგები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით (მაგ., რამდენად მიღწეულია/გასაუმჯობესებელია ეს მაჩვენებლები, როგორი მაჩვენებლები იქნა დაგეგმილი მომდევნო წლისთვის და ა.შ.), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც „შედეგი არცთუ ისე დამაკმაყოფილებელია“ (მაგ., სასწავლო კურსი „ბიზნესის საფუძვლები“, „ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა“, „სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი“, „ბრენდინგი“, „საჯარო ფინანსები“, „ბუღალტრული აღრიცხვა“).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალაში რჩება რეკომენდაცია „აუცილებელია მოხდეს მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ყველა არსებული მექანიზმის ამოქმედება პროგრამის როგორ შიდა, ისე გარე შეფასების მიზნით“ და სტანდარტის ამ კომპონენტის შეფასება „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია: 24.02.2020; 25.02.2021); o საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (დამტკიცებულია 30.03.2020; 25.02.2021); o სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება (დამტკიცებულია 06.07.2020); o ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესები (დამტკიცებულია: 13.03.2020; 25.02.2021); o ელექტრონული სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები (დამტკიცებულია 25.02.2021); o 2019/2020 წლებში მოქმედი დოკუმენტები „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემა“, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამატებით წარდგენილი ვიზიტის დროს); o ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განვითარების ჯგუფის სხდომის ოქმები #01, 20.11.2020; #02, 30.11.2020; #03, 11.12.2020; #04, 24.12.2020;#05, 29.01.2021 (დამატებით წარდგენილი ვიზიტის დროს); o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: - აუცილებელია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს „პროგრამის/პროგრამების შემუშავების ინსტრუქციაში“ არსებული ჩანაწერები, რომელიც ადგენენ მოთხოვნებს პროგრამისადმი. - აუცილებელია მოხდეს მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ყველა არსებული მექანიზმის ამოქმედება პროგრამის როგორ შიდა, ისე გარე შეფასების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ *<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>* ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

2. გარე ხარისხის შეფასება პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ ხარისხის გარე შეფასების მექანიზმებია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია. დაწესებულების განმარტებით, ამ გარე შეფასებების შედეგები და რეკომენდაციები იყო გათვალისწინებული როგორც შიდა შეფასების, ისე პროგრამის მოდიფიცირების პროცესში: განხორციელდა პროგრამისა და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსობრივი და თვისობრივი ანალიზი; განხორციელდა პროგრამის, მიზნების, შედეგების და პროგრამის სტრუქტურის მოდიფიცირება; პროგრამის კრედიტების გადანაწილება მოხდა სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე; გადაიხედა და დაზუსტდა სასწავლო კურსების წინაპირობები, მიზნები, შედეგები, სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები; გაძლიერდა ინგლისური ენის კომპონენტი; ძირითადი სწავლების სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა ახალი სასწავლო კურსები და სხვ. გარდა ზემოთ მითითებულისა, დაწესებულებაში მოქმედი მიდგომების თანახმად, გარე შეფასებისთვის გამოიყენება გარე შემფასებლების (მაგ., პოტენციური დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტები და სხვ.) მიერ გამოვლენილი გასაუმჯობესებელი ასპექტების ანალიზი, რასთანაც დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება დოკუმენტურად არ დასტურდება, ექსპერტებთან შეხვედრების ფორმატში დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ გაეცნენ პროგრამას, ჰქონდათ გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა. დამსაქმებლების აზრით, პროგრამა დადებით შეფასებას იმსახურებს, არის აქტუალური და ქმნის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის საფუძველს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o ხარისხის მართვის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა (დამტკიცებულია: 17.02.2020; 25.02.2021); o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული, გონივრული პერიოდულობით, ყველა იმ მექანიზმის გამოყენებით, რომელიც დაწესებულებამ თავადვე დაადგინა, მათ შორის გარე შეფასების პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის ნაწილში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ *შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში პროგრამის შეფასების პროცესისა და პროცედურების მარეგულირებელ დოკუმენტებს მიეკუთვნება დაწესებულების სენატის მიერ დამტკიცებული დოკუმენტები, მათ შორის:

● „ხარისხის მართვის მექანიზმებისა და მათი შეფასების სისტემა“, რომლის თანახმად:

o საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად ექვემდებარება შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით. პროგრამების შეფასებისათვის გამოიყენება (მ.6, პ.6.3; გვ. 8):

1) პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება;

2) სტუდენტების მიერ პროგრამის შეფასების გამოკითხვის შედეგები;

3) კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის შეფასების გამოკითხვების შედეგები;

4) დამსაქმებლის მიერ პროგრამების შეფასების გამოკითხვის შედეგები;

5) პროგრამის აქტიური სტუდენტების აკადემიური მოსწრების ინდიკატორი;

6) სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი.

o განვითარებისა და განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად ხარისხის მართვის სისტემა ითვალისწინებს „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლს (PDCA) და პროგრამების შეფასების SWOT ანალიზის მეშვეობით (მ.11, პ.11.4; გვ. 9).

● „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, რომლის თანახმად:

o საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით (მ.2, პ.2.2; გვ. 2);

o პირდაპირი შეფასების დროს მოწმდება მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს შესრულებული დავალების მეშვეობით - ტესტი, გამოცდა, ესე, პორტფოლიო, პრეზენტაცია, თემის დაცვა, პრაქტიკის შეფასება და ა.შ. (მ.3, პ.3.1; გვ.2);

o არაპირდაპირი მეთოდის დროს ხდება სტუდენტის თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა და ა.შ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით მზადდება კითხვარები, რომელშიც ჩამოთვლილია პროგრამის სწავლის შედეგები, სადაც სტუდენტები აღნიშნავენ თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. შესაძლებელია ანალოგიური კითხვარი შეავსოს დამსაქმებელმაც (მ.3, პ.3.2; გვ. 2).

o პროგრამის სწავლის შედეგების მიზნებთან შეფაბამისობის დადგენის მიზნით დგება პროგრამის სწავლის შედეგების და მიზნების შესაბამისობის რუკა (მ.4.);

o ივსება პროგრამის სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა, რომლითაც დგინდება რომელი სასწავლო კურსი ეხმარება სტუდენტს პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაში ან/და ხდება იმ სასწავლო კურსების იდენტიფიცირება, რომელიც ზედმეტია პროგრამაში. ცხრილში (რუკაში) მიეთითება რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს რომელი სწავლის შედეგის განვითარებას 3 პროგრესირებადი დონით: 1- გაცნობა, 2 - გაღრმავება, 3 - განმტკიცება (მ.5.);

o შემუშავდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც უნდა აისახოს თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. პროგრამის თითოეული შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რათა განისაზღვროს თუ რა დონით მიაღწია სტუდენტმა სწავლის თითოეულ შედეგს. სტუდენტების წინარე შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეალისტური სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისათვის (მ.6);

o პროგრამისა და სილაბუსის შინაარსოვრივი და სტრუქტურული დამუშავების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიჩნეულია აკადემიური მოსწრების ანალიზი, რაც იძლევა სასწავლო კურსის შინაარსის სიმარტივის/სირთულის განსაზღვრის შესაძლებლობას, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმების თანხვედრასა და სტუდენტის მიერ სწავლის დადგენიილი შედეგების მიღწევის რეალურ განსაზღვრას (მ.7);

o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მნიშვნელოვანი ეტაპია მიღწეული შედეგების ანალიზი, რის საფუძველზე განხორციელდება პროგრამის გაუმჯობესება. შესაბამისად ხდება შედეგების სამიზნე ნიშულებთან დადარება და გაანალიზება, რამდენად მიაღწია სტუდენტმა სწავლის შედეგებს. შეფასების შედეგების გაანალიზებით ხდება ცვლილებების შეტანა სასწავლო კურსის წინაპირობებში, შინაარსში, ა.შ. (მ.9).

● დაწესებულების მიერ პროგრამის შეფასების მიზნით გამოყენებულია: 1) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, მათ შორის გაუსის განაწილების მრუდთან მიახლოების კონტროლი. ამ მექანიზმის გამოყენება დასტურდება დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის დანართით „2019-2020 სასწავლო წლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გაუსი“, სადაც თითოეული სასწავლო კურსის შემთხვევაში მოცემულია სტატისტიკური მონაცემები, მათი ანალიზი და დასკვნა; 2) დაინტერესებულ მხარეთა (პროგრამის სტუდენტები, განმახორციელებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მოსაზრებების შესწავლა-ანალიზი, რაც დასტურდება როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით (მაგ., 2019-2020 წელს განხორციელებული სტუდენტთა გამოკითხვა, პროგრამის პერსონალის შეფასება, სასწავლო კურსების შეფასება, დამსაქმებელთა გამოკითხვა და გამოკითხვის ანალიზი, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და გამოკითხვის ანალიზი), ისე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის განმახორციელებმებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგებით.

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ დოკუმენტებზე და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით აღსანიშნავია შემდეგი:

1) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა წარმოადგენს მოდიფიცირებულ ვარიანტს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისა, რომელსაც დაწესებულება 2018 წლიდან დღემდე ახორციელებს ავტორიზებულ რეჟიმში. მიუხედავად 2019/2020

წლებში მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტებში („ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემა“, „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“) და 2020/2021 წელს დამტკიცებულ დოკუმენტებში („ხარისხის მართვის მექანიზმებისა და მათი შეფასების სისტემა“; „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“) არსებული სხვაობისა, ეს დოკუმენტები ითვალისწინებენ პროგრამის შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა-გამოყენება და პროგრამების შეფასება SWOT ანალიზის მეშვეობით, რაც იძლეოდა 2019-2021 წლებში ამ მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას. ინფორმაციის არარასებობის გამო: დოკუმენტურად არ დასტურდება როგორც ზემოთ მითითებული მექანიზმების გამოყენება, ისე პროგრამის პერიოდული შეფასებისთვის ინფორმაციის სისტემატური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი (მაგ., 2018 – 2020 წლებში პროგრამის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები, ანგარიშები და/ან სხვ.). ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი გეგმის (რუკის) არარსებობის გამო, არ დგინდება გამოიყენებოდა თუ არა პროგრამის შეფასების ეს მექანიზმი, რა იყო სტუდენტების წინარე შედეგები, რა მონაცემებთან დადარებას ახდენტა/ახდენს/გეგმავს დაწესებულება რეალისტური სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მიზნით და ა.შ.

2) არ დგინდება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დაწესებულების პროგრამის დადარება (მათ შორის, უცხოეთის რომელი უსდ-ების პროგრამებთან მოხდა დადარება, რა პრინციპით მოხდა მათი შერჩევა, რა იყო გათვალისწინებული და ა.შ.), რაც წარმოადგენს წინამდებარე სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნას. ასევე, დოკუმენტურად არ დასტურდება დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ინფორმაცია: „უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების მაგალითზე პროგრამაში იმპლიმენტირდა საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგი პროგრამების საუკეთესო პრაქტიკა“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o ხარისხის მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია 17.02.2020; 23.03.2020);
o ხარისხის მართვის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა (დამტკიცებულია: 17.02.2020; 25.02.2021);
o საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია (დატკიცებულია: 24.02.2020; 25.02.2021);
o საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (დამტკიცებულია 30.03.2020; 25.02.2021);
o სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება (დამტკიცებულია 06.07.2020);
o ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესები (დამტკიცებულია: 13.03.2020; 25.02.2021);
o ელექტრონული სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები (დამტკიცებულია 25.02.2021);
o 2019/2020 წლებში მოქმედი დოკუმენტები „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემა“, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამატებით წარდგენილი ვიზიტის დროს);
o ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განვითარების ჯგუფის სხდომის ოქმები #01, 20.11.2020; #02, 30.11.2020; #03, 11.12.2020; #04, 24.12.2020;#05, 29.01.2021 (დამატებით წარდგენილი ვიზიტის დროს);
o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის, ასევე პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება და შედეგების ანალიზი - უნდა იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესების მომწესრიგებელ რეგულაციებში დადგენილი შეფასებისა და კონტროლის ყველა მექანიზმის (მათ შორის, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა-გამოყენება, პროგრამების შეფასება SWOT ანალიზის მეშვეობით და სხვ.) სრულად გამოყენება. გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგები უნდა იყოს დოკუმენტირებული და გაზიარებული დაინტერესებული მხარეებისათვის.
- პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიზანშეწონილია გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ *<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>* ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს თბილისის თავისუფალი აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 56

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობ მოთხოვნებ
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☒		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		☒		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		☒		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო პატარაია, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკა გეგეშიძე, ხელმოწერა

თამარ გვიანიშვილი, ხელმოწერა



მაია ჭინჭარაშვილი, ხელმოწერა

თამარ თავხელიძე, ხელმოწერა